ო ქ მ ი №1

საკონკურსო კომისიის
სხდომის ჩატარების შესახებ

ქ. ახალციხე 2011 წლის 17 ივნისი

ა/წლის 17 ივნისს 12.00 საათზე ჩატარდა შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკის და განძის, ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებთან მიმდებარე, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის არქიტექტურული პროექტების შედგენასთან დაკავშირებით, სამხარეო მთავარი სამმართველოში შექმნილი მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ, კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ მაისურაძე, კომისიის წევრები: დავით ზედგინიძე, ზაზა ჩიტაშვილი, ზვიად ლომსაძე, გელა ზედგინიძე, არჩილ ჭიღლაძე, ვასილ ჭაღიაშვილი,

ბელა ყურმაშვილი (სხდომის მდივანი);

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი:

1. შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსათვის გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად დაგეგმილი შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის და ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკისა და განძის განყოფილებების ეზოს და საკომუნიკაციო ქსელების კეთილმოწყობის პროექტების შედგენასთან დაკავშირებით, საკონკურსო განცხადების და დოკუმენტაციის დამტკიცება.

2. პირველ საკითხთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ვ. ჭაღიაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის და ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკისა და განძის განყოფილებების კეთილმოწყობის პროექტების შედგენისათვის საპროექტო მომსახურების შესყიდვისათვის განსაზღვრულია სავარაუდოდ 3000.00 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე აღნიშნული შესყიდვა დაიგეგმა კონკურსის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარის ნებართვით ვ. ჭაღიაშვილმა წარმოადგინა საკონკურსო განცხადების და დოკუმენტაციის პროექტი განსახილველად.

კომისიის წევრებმა განიხილეს საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია შეტანილ იქნა მცირე შესწორებები განისაზვრა საკონკურსო წინადადების მიღების დაწყების თარიღი 2011 წლის 21 ივნისი, საკონკურსო წინადადების მიღების დამთავრების თარიღად განისაზღვრა 2011 წლის 24 ივნისის 17 :00 საათი.

საკონკურსო კომისიამ განხილვის შემდეგ

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დამტკიცდეს შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის და ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკისა და განძის განყოფილებების ეზოს და საკომუნიკაციო ქსელების კეთილმოწყობის პროექტების შედგენასთან დაკავშირებით, საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია შესწორებების და საკონკურსო წინადადებების მიღების და დამთავრების ვადების გათვალისწინებით.

2. საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების და დოკუმენტაციის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ვებგვერდზე განსათავსებლად.

სხდომის თავმჯდომარე : ვ. მაისურაძე

წევრები: დ. ზედგინიძე

ზ. ჩიტაშვილი

ზ. ლომსაძე

გ. ზედგინიძე

ა. ჭიღლაძე

ვ. ჭაღიაშვილი